პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
26 ოქტომბერი
№ 247 (17890)
ფასი 2 კაპ.

ხალხის საკეთილდღეოდ

საბჭოეთი ამთავრებს მეათე ხუთწლედს და მალე იწყებს 1981 წელს — პარტიის XXVI ყრილობის წელს, ახალი, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ემზადებიან ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ შობლიური პარტიის ყრილობას. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია დამკვრელური შრომით, სოციალისტური შეჯიბრების ფართო გაქანებით გამოხატავენ კომუნიზმის საქმისადმი თავიანთ ერთგულებას, ლენინის პარტიასთან ურღვევი ერთიანობას.

ახლანდელი ხუთწლედი ღირსეულ ადგილს დაიკავებს კომუნიზმის გზით მტკიცედ მიმავალი საბჭოთა ხალხის სამგზირო საქმეთა ისტორიაში. მან დაადასტურა, რომ სწორია პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკის უფრო ღრმა შემობრუნებას ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური, თავდაცვითი და სულიერი პოტენციალი. დიდი ნაბიჯი გადაიდგა სახალხო მეურნეობის განვითარების, მნიშვნელოვანი და საბრძოლოროტო სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გზით. როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში პარტია ადგას სწორ, ცხოვრებით შემოწმებულ ლენინურ კურსს.

ამის ახლანდელ ეტაპზე ადასტურებდა სკკკ ცენტრალური კომიტეტის ამსწინანდელი პლენუმი და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია, რომლებმაც განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, მიიღეს შესაბამისი დადგენილებანი, კანონები.

პლენუმზე ვრცელი და ღრმაშინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, თავის სიტყვაში მან ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა მეათე ხუთწლედის შედეგები და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმები. დასახულია ამოცანები ხუთწლედის პირველი წლისათვის, მთლიანად მომავალი ხუთწლედულისათვის, ნაჩვენებია ამ ამოცანების გადაწყვეტის საშუალებები, გამოვლენილია სიძნელეები და ნაკლოვანებები, მათი დაძლევის ეკონომიკურ და სოციალურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად წინსვლის გზები.

პლენუმმა მთლიანად და სავსებით მოიწონა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები, დაადგინა საფუძვლად დაედოს ისინი ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას 1981 წლის გეგმის მთლიანად და გადაპარბებით შესრულებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესების შესაბამისად ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების უფრო სრული გამოყენებისათვის.

პარტიამ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება ეკონომიკის დარგში თავისი პრაქტიკული მუშაობის ცენტრში დააყენა. კეთილდღეობის გაუმჯობესებას მეათე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლიდან მოხმარდა 329 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე წინა ხუთწლეულში. გაიზარდა მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა რეალური შემოსავალი. უფასო განათლების, სამედიცინო მომსახურების, დასვენების, სიბერეში მატერიალური უზრუნველყოფის მნშვნელ გამოყენებულმა დახმარებამ და შეღავათებმა საზოგადოებრივი ფონდებიდან 134 მილიარდი მანეთით იმატა. ხუთწლიანი გეგმის დასახულთან შედარებით 1,5 მილიარდი მანეთით მეტი კაპიტალური დაბანდება მოხმარდა საბინაო მშენებლობას. დაახლოებით ნახევარ მილიარდ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ საბჭოთა ადამიანები ხუთწლეულში.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველია ეკონომიკის საერთო ზრდა, საწარმოო სიმძლავრის გადიდება. ეროვნული შემოსავალი — ეკონომიკის მდგომარეობის ეს გამზომველი ფიზიკურ ერთეულებით — ხუთი წლის მანძილზე 397 მილიარდი მანეთით გაიზრდება. მრეწველობა გამოუშვებს წინა ხუთწლედთან შედარებით 717 მილიარდი მანეთით მეტ პროდუქციას, ხოლო სოფლის მეურნეობა დაამზადებს 50 მილიარდი მანეთით მეტს. სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 635 მილიარდი მანეთი, ამოქმედდა ათას ორასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო.

დიდი ნაბიჯი გადადგა წინ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გზით. მეათე ხუთწლედში მარცვლეულის საშუალო — წლიურმა მოსავალმა პირველად გადააჭარბა ორასი მილიონ ტონას. თავი ისახელეს უანგარიშოდ მზვნელ-მთესველებმა, რომლებმაც ხუთი წლის მანძილზე მეოთხედ ჩააბარეს სახელმწიფოს მილიარდ ფუთზე მეტი პური და გადაჭარბებით გაანაღდეს ხუთი წლის დავალება. შესრულებულია ბამბის მოსავლიანობის ხუთწლიანი გეგმაც.

„ყოველ ხუთწლედს, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — თავისი გმირები ჰყავს. გამონაკლისი არც მიმდინარე ხუთწლედია. მალე ჩვენ შევაჯამებთ მის საბოლოო შედეგებს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, ცხადია, სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები მიენიჭებათ. მაგრამ უკვე დღეს სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ყველა საფუძველი აქვს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილე ეკონომიკურ, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, რომლებიც ასე გაისარჯნენ ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის“.

სახალხო მეურნეობის დარგში შთამბეჭდავ, უცილობელ წარმატებებთან ერთად ჯვიდებოდა და გვიხდება მნიშვნელოვანი ხარვეზები დაძლევაც. ბევრი მათგანი გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით. არახელსაყრელი ამინდის პირობებით, სასარგებლო წიაღისეულის ბევრი ძვალი ნაბადოს ამოწურვით, რის შედეგადაც მომპოვებელი მრეწველობის ძირითადმა ცენტრებმა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გადაინაცვლა. ობიექტურს დაემატა სუბიექტური მიზეზებიც, რომლებიც მუშაობის ნაკლოვანებებთან არის დაკავშირებული. მართვისა და დაგეგმვის მექანიზმი, მეურნეობრიობის მეთოდები და საშემსრულებლო დისციპლინა, განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჯერ კიდევ ვერ აგვიყვანია თანამედროვე მოთხოვნების დონემდე. ეს აძნელებდა ეფექტიანობისაკენ შემობრუნებას, სახალხო მეურნეობის დაჯაჭვანის ინტენსიური განვითარების გზაზე. ეს არის აგრეთვე იმის მთავარი მიზეზი, რომ მთლიანად ვერ შესრულდა გეგმები მთელი რიგი პოზიციების მიხედვით, ნაკლოვანებანი და ვიწრო ადგილები გვაქვს სახალხო მეურნეობაში.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება პარტიის უმნიშვნელოვანესი მიზანია. ამ მიზნის მისაღწევად ბევრი დიდი და ძნელი პრობლემის დაძლევა გვმართებს. მაგრამ პირველ ადგილზეა სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება.

თუმცა სოფლის მეურნეობაში გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგად ქვეყანაში ახლა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის გაცილებით მეტი პროდუქცია გამოდის, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ხორცითა და რძით უზრუნველყოფის საქმეში ჯერ კიდევ ვაწყდებით სიძნელეებს. სწორედ ამიტომ საჭიროა კვლავაც გამოუყოთ სოფლის მეურნეობას დიდი კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალური რესურსები. ამასთანავე მკვეთრად უნდა ავამაღლოთ მომთხოვნელობა, რათა ეს სახსრები და რესურსები მაქსიმალური უკუგებით გამოიყენებოდეს. უნდა დავძლიოთ მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რაიონების და ოლქების ჩამორჩენა, განუბრელად ვნერგოთ მოწინავე გამოცდილება, გავაუმჯობესოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია. „განსაკუთრებით საჭიროა, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა,—ავამაღლოთ კადრების პასუხისმგებლობა, განვავითაროთ ინიციატივა მუშაობაში, არ დავუშვათ წვრილმანი მეურვეობა, ადმინისტრირება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიმართ“. უფრო ენერგიულად და მტკიცედ უნდა ვუჭეუტდეთ სოფლს, მისი გარდაქმნის სოციალურ პრობლემებს, მეტს ვაშენებდეთ კეთილმოწყობილ ბინებს, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის დაწესებულებებს, კარგ გზებს.

სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუტომ მიიღო გადაწყვეტილება შემუშავდეს სასურსათო პროგრამა, რომელშიც ორგანულად შეერწყმის ერთმანეთს სოფლის მეურნეობისა და მისი მომსახურე მრეწველობის პროდუქციის დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების დარგების განვითარების, სასურსათო ინდუსტრიისა და სურსათით ვაჭრობის განვითარების საკითხები. ეს აგროსამრეწველო, სასურსათო კომპლექსი დაიგეგმება და წარიმართება როგორც ერთი მთლიანი, და უზრუნველყოფს მაღალ საბოლოო შედეგებს.

ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის უპირველესი ამოცანაა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების სწრაფი აღმავლობა. ამ ამოცანის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ განვითარდეს ეკონომიკა, გაძლიერდეს შრომის სტიმულები, განმტკიცდეს ფულის მიმოქცევა. და თუმცა ამ დარგში ბევრი რამ გაკეთდა, (მარტო მეათე ხუთწლედის მანძილზე „ბ“ ჯგუფის დარგების პროდუქცია 40 მილიარდი მანეთით იზრდება), მრავალი ნაკეთობის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია, შეფერხება გვიქმნება ხან ერთი ხან მეორე მასობრივი მოთხოვნილების საქონლის მხრივ. გამოსავალი ის არის, რომ განვავითაროთ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება იმ გრძელვადიანი პროგრამის საფუძველზე, რომელიც გაერთიანებს სათანადო დარგების მეცადინეობას. უნდა გაუმჯობესდეს „ბ“ ჯგუფის დარგების დაგეგმვისა და დაფინანსების სისტემა, მკაცრად დაუქვემდებარდეს იგი ვაჭრობას და მოამზადოს მომხმარებელი.

ПРАВДА

25 ОКТЯБРЯ 1980 ГОДА

დიდი სოციალურ-ეკონომიკური საკითხია საბინაო მშენებლობა. საჭიროდ არის მიჩნეული შენარჩუნებულ იქნეს მისი ახლანდელი მასშტაბი მეთერთმეტე ხუთწლედის ყველა წლისათვის, ამასთან გაუმჯობესდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხარისხი. ისეთი სოციალური საკითხები, როგორიც არის შრომის პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის გაუმჯობესება, ასევე დაუცხრომელ ყურადღებას მოითხოვს.

ნებისმიერი, დიდი თუ მცირე საქმის წარმატება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ადამიანზე, ხალხზე, იმაზე, თუ როგორ არიან ისინი მომზადებულნი და ორგანიზებულნი, რამდენად კარგი შრომისა და ცხოვრების პირობები აქვთ. ადამიანები ძალზე აფასებენ ყურადღებას, მზრუნველობას, და მათ უპასუხებენ დამკვრელური შრომით, შემართებითა და საქმით. ადამიანისადმი ყურადღებიანი, მზრუნველი დამოკიდებულებით, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა „უნდა იყოს გამსჭვალული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და, რა თქმა უნდა, პროფკავშირების მუშაობის მთელი სტილი. ასეთი დამოკიდებულება თითოეული ხელმძღვანელის — დიდი იქნება თუ პატარა, მუშაობის განუყოფელი ნიშანი უნდა გახდეს. ჩვენს საბჭოთა ცხოვრების წესში არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს ბიუროკრატიზმი, გულქვაობა, ყოყოჩობა“.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საფუძველია ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაცია. „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადმა მიმართულებებმა“ უნდა უზრუნველყოს მომავალ ხუთწლედში არსებითი წინსვლა აღნიშნული გზით. ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტის პროექტი მალე გამოქვეყნდება საყოველთაოსახალხო განხილვისათვის. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა განხილვამ ხელი შეუწყოს მთელი ჩვენი ეკონომიკური მუშაობის ალმავლობას.

ეკონომიკის ზრდა, მისი ეფექტიანობა განუყრელად არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან. რაკი წარმოებათან მეცნიერების შეერთება, მასზე პროგრესული იდეების ზემოქმედება პრაქტიკულად მანქანებისა და ტექნოლოგიის მუშავებით მიმდინარეობს, მანქანათმშენებლობის აღმავლობას მომავალ ხუთწლედშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ. საქმე ეხება ძირითადი ფონდების განახლებას და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროების ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას, საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი მანქანების შექმნას. ტრანსპორტის, საგზაო საქმისა და მშენებლობის, ნავთობისა და გაზის, მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის. განსაკუთრებით საჭიროა დაჯანმრთელოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ჩაბორჩენა, მივცეთ სოფლის მეურნეობას მანქანები, უწინარეს ყოვლისა სათოხნი ტრაქტორი და სამარცვლე კომბაინი, რომელიც ყველაზე თანამედროვე მოთხოვნას შეესაბამება. ეს, აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, შესაძლებლობას მოგვცემს დიდი ნაბიჯი გადადგადთ წინ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გზაზე.

უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სათბობ-ენერგეტიკული და ნედლეულის ბაზა. ამ დარგში საჭიროა კვლავაც განვავითაროთ ატომური ენერგეტიკა, განვაგრძოთ სამუშაოები თერმობირთვული ენერგიის დარგში, გავზარდოთ ბუნებრივი გაზის მოპოვება. სკკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუტომ მზარი დაუჭირა წინადადებას, რომ შემუშავდეს დასავლეთ ციმბირის ნავთობ-გაზის მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო მასტაბის პროგრამა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათბობისა და ნედლეულის ფართო ეკონომიას.

ძირითადი მიმართულებებით დასახულია გათვალისწინებულ იქნეს ქიმიის შემდგომი განვითარების გადაწყვეტ ღონისძიებათა კომპლექსი, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს სასუქისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, პლასტიკური მასებისა და სინთეზური ბოჭკოების, საღებრებისა და საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქციის წარმოება. დასახულია ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის გაუმჯობესებას კაპიტალური მშენებლობის, მეტალურგიის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის დარგში.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ამის საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უცილობელი პირობაა სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა. ამ დიდი და აქტიური თემიდან ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოაყო ორი საკითხი: დაგეგმვაში მიზნობრივი პროგრამების ფართო გამოყენება და სწორი თანაფარდობა ცენტრალიზმსა და დემოკრატიულ საწყისს შორის. მხოლოდ ცენტრს შეუძლია მართოს სახალხო მეურნეობა როგორც ერთი მთლიანი, წინააღუდგეს საუფლებო და კუთხურ ტენდენციებს, მაგრამ, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება, საჭიროა განვავითაროთ ადგილების, მოწინავე კოლექტივების, სამეურნეო ხელმძღვანელების ინიციატივა. ეს არის დემოკრატიული ცენტრალიზმის — სოციალისტურ საზოგადოებაში ორგანიზაციისა და მართვის ძირითადი პრინციპის არსი. 1979 წლის ივლისში სკკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი მიიღეს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ. ამოცანა ის არის, რომ პრაქტიკულად შევასხათ მათ ზორცი.

„წინ, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — დიდი სამუშაო გვაქვს. ოთხმოცდაან წლებში უნდა დავამთავროთ ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიური განვითარების რელსებზე, უნდა ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება და ხარისხი. საწარმოო წარმატებების უცილობელ პირობად რჩება სამეურნეო მუშაობის დონის ამაღლება. კადრებისათვის ვერგილიანობის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ინიციატივის ჩანერგვა“.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ერთსულოვნად დამტკიცდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. და, ამრიგად, მათ კანონის ძალა მიენიჭა.

1981 წლის გეგმა და ბიუჯეტი უზრუნველყოფს მთლიანად ქვეყნისა და თითოეული ცალკეული რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ ზრდას, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის გაშლას. დიდძალი სახსრები მოხმარდება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, სოფლის მეურნეობის, მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტის განვითარებას. დასახულია ღონისძიებანი კაპიტალურ მშენებლობაში რესურსების კონცენტრაციისათვის. დაჩქარდა სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობის ზრდის ტემპი. გათვალისწინებულია ახალი სოციალური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უზრუნველყონ ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, მეცნიერებისა და კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი ალმავლობა. ყოველივე ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, თუ როგორ ზრუნავს პარტია მშრომელი ადამიანისათვის, მისი მატერიალური მოთხოვნებისა და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ პარტია და სახელმწიფო უპირველეს საზრუნავად რაცხენ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას. საბჭოთა ადამიანებმა იციან ისიც, რომ მათს დოვლათს ქმნის მათივე საკუთარი გარჯა — და სხვა არაფერი, იციან, რომ შეიძლება განაწილდეს და მოხმარებულ იქნეს მხოლოდ ის, რაც ადამიანებმა აწარმოვა, ადამიანმა შექმნა. აი რატომ არის, რომ მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი თავდადებით იშრომონ სამშობლოს საკეთილდღეოდ და, მაშასადამე, საკუთარი კეთილდღეობისათვის. 1981 წლის გეგმა დაძაბული, მაგრამ აშფოთანავე რეალურია, მისი შესრულება ძალგვიძს. გეგმის დავალებანი უნდა ვანვამტკიცოთ ზუსტი ორგანიზატორული მუშაობით, მაღალი დისციპლინით, მკაცრი კონტროლით, უნდა გავაძლიერით მასების შრომითი აქტიურობა, კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, წარვმართოთ იგი საბოლოო შედეგის, თვისებრივი მაჩვენებლების მიღწევის გზით, ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი და გავაფრცელოთ მოწინავე გამოცდილება. საჭიროა მზრუნველად მოვეკიდოთ სახალხო დოვლათს, რაციონალურად გამოვიყენოთ რესურსები, შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ მფლანგველობის, უუპირატობის, უპასუხისმგებლობის წინააღმდეგ.

ახლა პარტიულ ორგანიზაციებში ყველგან მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნების კამპანია, რომლის დროსაც საქმიანად, მწვავედ და თვითკრიტიკულად განიხილავენ პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ყველა მხარეს, მხარს უჭერენ ყოველივე დადებითს, ავლენენ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს. კომუნისტები გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებს და წინადადებებს, და ამ შენიშვნა-წინადადებათა გამო კონკრეტულ ღონისძიებათა დაუყოვნებლივ მიღება (ასე კი ბევრი პარტიული კომიტეტი იქცევა) აძლიერებს კრებების ქმედითობას, კრიტიკის ქმედითობას.

ჩვენი ცხოვრების უცილობელი კანონია საჯაროობა, მასების ინფორმირება პარტიის საქმიანობის შესახებ. და თუმცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა — პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ, პროპაგანდის ორგანოებმა — გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა, მათ კიდევ ბევრის გაკეთება მართებთ, რათა მთლიანად შეასხნან ხორცი სკკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის ორგანოები მოწოდებულ არიან სისტემატურად და ყოველმხრივ გააშუქონ პარტიული ანგარიშგება-არჩევნების მიმდინარეობა, განმარტონ სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებების ღრმად სახალხო, ჰუმანისტური ხასიათი, დაეხმარონ პარტიასა და სახელმწიფოს მასების დასარაზმავად მათი უცილობელი შესრულებისათვის. პრესა, ტელევიზია, რადიო მკაფიოდ და გასაგებად უნდა აუხსნიდნენ ხალხის შრომისა და ბრძოლის სიდიადეს, აქტიურად უჭერდნენ მხარს შემოქმედებითს თაოსნობასა და მოწინავე გამოცდილებას, მწვავედ აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებსა და უწყობდნენ ხელს მათ აღმოფხვრას.

პლენუმმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ქვეყნის ყველა მშრომელი ახალი შრომითი მიღწევებით შეეგებება ლენინური პარტიის XXVI ყრილობას, მოელ ძალ-ღონეს, ცოდნას და გამოცდილებას მოახმარს დამდეგი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის წარმატებით შესრულებას.

ლენინური პარტიის წინამძღოლობით საბჭოეთი 80-იან წლებს იწყებს ისე, რომ აქვს მძლავრი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, ჰყავს შესანიშნავი მაღალკვალიფიციური კადრები. ეს ოქტომბრის სამშობლოს შესაძლებლობას აძლევს გადაჭრას ნებისმიერი, თვით ურთულესი ამოცანები, იმედიანად შეჰყურებდეს მომავალს.

დიდი შრომითი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა, ბაბალოს ფაბრიკატთა საქალაქო საბჭოს, საქართველოს ალკა [illegible] კომიტეტს, ქალაქ თბილისის გაერთიანებათა, საწარმოთა, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო [illegible]შებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ქალაქის მრეწველობის ყველა მუშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
კვირა
26 ოქტომბერი
№ 247 (17890)
ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი, ქალაქ თბილისის გაერთიანებათა, საწარმოთა, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო [illegible]შებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, ქალაქის მრეწველობის ყველა მუშრომელს

საქართველოს ალკ [illegible]

[illegible]

[illegible]

[

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲡ — ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐᲜᲓᲝᲑᲐ!

ᲣᲚᲣᲚᲒᲣᲚᲝᲑᲐ, რაც ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურების ერთ-ერთი მრავალი სინონიმთაგანია, განსაკუთრებით დაუშვებელია იდეოლოგიური ორგანოების საქმიანობაში, რომლებიც ეწევიან ბრძოლას სანმიუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, კანონიერების განუხრელი დაცვისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ბიუროკრატიზმი მით უფრო საშიშია ორგანოებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან დაამკვიდრონ და დაიცვან მართლწესრიგი, და იგი მოქალაქეებს უკარგავს რწმენას, რომ სამართალდამცავ დაწესებულებებს უნარი შესწევთ კვალიფიციურად შეასრულონ თავიანთი ფუნქციები.

უკანასკნელ ხანს პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით განხორციელდა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა საქმის გამოძიებისა და განხილვის, საჩივრებისა და განცხადებების გავლის ვადების დაცვის მდგომარეობა, უფრო იშვიათად იღებენ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს.

პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად სწვდებიან ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას, უკეთ წარმართავენ და აკონტროლებენ მას. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბიუროების სხდომებზე რეგულარულად ისმენენ ამ ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშსა და ინფორმაციას.

რესპუბლიკის ყველა რეგიონში გაიმართა პარტიული კომიტეტების პლენუმები ან პარტიული აქტივის კრებები, რომლებმაც განიხილეს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები, შეიმუშავეს შესაბამის ღონისძიებათა განხორციელების კომპლექსური გეგმები.

საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის აღმოფხვრისათვის აქტიურად შრომობენ დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის, შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის კადრების შერჩევის კომისიები, პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემსრულებელი სამუშაო ჯგუფები, აგრეთვე სოციალისტური კანონიერების დაცვევების წინააღმდეგ ბრძოლის, მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვის კომისიები, რომლებიც მთელ რიგ ადმინისტრაციულ ორგანოებში მოქმედებენ. სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის ყველგან განხილვამ ხელი შეუწყო იმას, რომ საზოგადოებრიობამ უყრადღება მიაპყრო ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობას, დაკისრებული საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გადიდებას.

ადმინისტრაციული ორგანოები უფრო მტკიცედ იშორებენ თავიდან არაკეთილსინდისიერ მუშაკებს, რომლებიც არღვევენ კანონიერებას, აჭიანურებენ საქმეს და იჩენენ ბიუროკრატიზმს.

ამასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეების, იუსტიციისა და სასამართლოების საქმიანობაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაძლიერების ღონისძიებების საკითხი და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში ჯერ კიდევ იჩენს თავს საქმის გაჭიანურება, მშრომელთა მოთხოვნებისადმი აგდებული დამოკიდებულება, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების შელახვა, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას არა აქვს საკმაოდ მიზანმიმართული და სისტემატური ხასიათი, ყოველთვის ეფექტიანად როდი მოქმედებს მისი გამოშწვევი მიზეზების აღმოფხვრისათვის.

ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს ზოგჯერ არ ჰყოფნით უნარი და სიმტკიცე ბიუროკრატიზმის მიმდა დაინახონ და შეიცნონ ისეთი სოციალურად საშიში ქმედება, როგორიც არის სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი, ნათესაური და ადგილობრივი ინტერესებისათვის გამოყენება.

მეტ წილ ადმინისტრაციულ ორგანოებში, მიუხედავად ბევრი შემოსული განცხადებისა, არ სწავლობენ საჩივრების გამოშწვევ მიზეზებს, მათს ხასიათს, განაზოგადებენ წერილებზე მუშაობის გამოცდილებას. ბევრ ორგანოში უაღრესად დაბალია საქმის წარმოების დონე.

ხშირად წერილების აღრიცხვის ჟურნალებში არ აფიქსირებენ განცხადებების მიღებისა და მათზე რეაგირების თარიღებს. განმცხადებლებს ხშირად აძლევენ ბუნდოვან, გაურკვეველ და ფორმალურ პასუხს, სადაც გვერდს უვლიან აღძრულ საკითხს, არ იმოწმებენ კანონს. ხშირად საჩივრებზე პასუხი სულაც არ იგზავნება და ადამიანები იძულებული არიან ზოგჯერ უშედეგოდ, რამდენჯერმე მოიკითხონ იგი. საგანგებო ყურადღება არ ეთმობა განმეორებითს და მრავალგზის საჩივრებს, არ ფიქსირდება მათი განმეორებითობა, რაც არ იძლევა პირველ განცხადებებზე რეაგირების ღონისძიებათა განსაზღვრის შესაძლებლობას. საზოგადოებრიობას არ ამაბენ მიღებული განცხადებების შესწავლასა და განხილვაში.

ბევრ ადმინისტრაციულ ორგანოში ხშირად არ იცავენ დადგენილ დღეებსა და საათებში მოქალაქეთა მიღების წესს და ადამიანები იძულებულნი არიან რამდენჯერმე მივიდნენ. ზეპირ საჩივრებს თითქმის არასოდეს არ აანალიზებენ, არ არის მათზე რეაგირების კონტროლის სისტემაც. ხშირად საერთოდ არ ხდება მოქალაქეთა მიღების არავითარი აღრიცხვა.

ადმინისტრაციულ ორგანოებში ნელა ინერგება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძვლები. მუშაობის გაუმჯობესების ამოცანა ხშირად არ უკავშირდება მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ფუნქციების ზუსტად განსაზღვრის, საქმის წარმოების გამარტივების, საქმის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების დანერგვის მოთხოვნებს. ამის მიზეზი ის არის, რომ დაბალია კადრების საქმიანი კვალიფიკაციის დონე, ვიწროა მათი პოლიტიკური და კულტურული გონებრივი ჰორიზონტი. ზოგიერთი მუშაკი ადგილზე ცუდად არის ინფორმირებული მოწინავე გამოცდილების, მოქმედ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

ადმინისტრაციული ორგანოების პირველად პარტორგანიზაციები, რომლებიც განიხილავენ მუშაობის სტილის სრულყოფისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს, სჯერდებიან საერთო ხასიათის ფორმალურ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებიც ხშირად განმტკიცებული არ არის კომუნისტებთან საჭირო პრაქტიკით მუშაობით. არის ბევრი ფაქტი, როცა პარტორგანიზაციები მხოლოდ ფორმალურად და ბიუროკრატულად იყენებენ აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. აღნიშნავენ რა არადამაკმაყოფილებელ ვითარებას, ისინი მიუხედავად ამისა თავს არიდებენ პრინციპულ პარტიულ, პოლიტიკურ შეფასებებს, ჯეროვნად არ მოპკითხავენ კომუნისტებს დაშვებული შეცდომებისათვის, დარღვევებისა და გადაცდომებისათვის. ბიუროკრატიული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლაში პარტორგანიზაციები სუსტად იყენებენ კრიტიკის ძალას, მუშაკებს არ უნერგავენ თვითკრიტიკულ დამოკიდებულებას მუშაობის შედეგებისადმი, მისწრაფებას— იყვნენ თავიანთი მოვლენების პატიოსანი და კეთილსინდისიერი შემსრულებლის მაგალითი.

ადმინისტრაციული ორგანოების პროფკავშირული ორგანიზაციები თითქმის არ ახდენენ გავლენას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე. პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი სათანადო კომპეტენტურობით ვერ წარმართავს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, სუსტად სწვდება მას, მკაცრ მომკითხველობასა და მომთხოვნელობას არ უხამებს ადმინისტრაციულ ორგანოებისადმი ყურადღებიან და მზრუნველ დამოკიდებულებას, არ უწევს კონკრეტულ პრაქტიკულ დახმარებას მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისათვის, პირველად პარტორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. არის ფაქტები, როცა პარტიული კომიტეტების ბიუროებზე დადებითად აფასებენ ფაქტობრივად ჩაშლილ საქმეს.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი აღმასკომების მხრივ შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობას არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს. ბევრი აღმასკომი ვერ ეხმარება ადმინისტრაციულ ორგანოებს აღმოფხვრან ბიუროკრატიზმი, ცუდად ერკვევა ფუნქციებსა და ამოცანებში, მათი მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში, ზოგჯერ მათ მაგივრობას ეწევა, არღვევს მოქმედ კანონებს, სწორ ორიენტირს ვერ სახავს სამართლებრივ საკითხებში. კონკრეტული დახმარების გაწევის ნაცვლად აღმასკომები ხშირად კმაყოფილდებიან მხოლოდ დადგენილებების მიღებით, რომლებიც ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა დუბლირებას წარმოადგენს და ვერ ასახავენ ადგილობრივ პირობებსა და თავისებურებებს. ნებაყოფლობითს სახალხო რაზმეულთა უმრავლესობა, განსაკუთრებით სოფლის რაიონებში, და ის რაზმელები, რომლებიც სასოფლო საბჭოებში მოქმედებენ, ვერ ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს, მათი ეფექტიანობა მეტად დაბალია. უმოქმედოდ არის ბევრი ამხანაგური სასამართლო, პროფილაქტიკის საბჭოები და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მისი ყოველი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის ჩანერგვაში ჯერ კიდევ აქტიურ როლს ვერ ასრულებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, შემოქმედებითი კავშირები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. პრესის, განსაკუთრებით ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში, მხატვრულ ნაწარმოებებში ყოველთვის ღრმად და ყოველმხრივ როდია გაშუქებული ადამიანებისადმი სათანადო პატივისცემის, მათი ინტერესებისა და მოთხოვნილებებისადმი ყურადღების სულისკვეთებით ხალხის აზრდის პრობლემები, მწვავე პრინციპულ შეფასებებს არ აძლევენ საქმისადმი ბიუროკრატული, უსულგულო, ფორმალური მიდგომის ფაქტებს.

პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, ადმინისტრაციული ორგანოებისა და მათი პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია ის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა, რათა აღმოიფხვრას პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობაში ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლინებები, რასაც მოსდევს სერიოზული პოლიტიკური და მორალური ზიანი. ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მივიჩნიოთ კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისათვის, სსრ კავშირის კონსტიტუციის მიერ გამოცხადებული მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი თავისუფლებებისა და უფლებების განუხრელი განხორციელებისათვის ბრძოლის განუყოფელ ნაწილად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, პროკურატურის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების, უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობას დაავალა აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობასა და მათდამი ხელმძღვანელობაში, შეიმუშაონ მწყობრი სისტემა, რომელიც აღმოფხვრის ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურებისა და ადამიანთა საჭიროებებისა და ინტერესებისადმი უყურადღებო დამოკიდებულების ყოველგვარ გამოვლინებას. საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის ყოველი ფაქტი უნდა გახდეს მათი წარმომშობი მიზეზების ყოველმხრივი განხილვის, ანალიზის საგანი, მის გამო უნდა შემუშავდეს კონკრეტული პროფილაქტიკური ღონისძიებები.

რესპუბლიკური ადმინისტრაციული ორგანოებისა და მათი ადგილობრივი ქვეგანაყოფების ხელმძღვანელობას დაევალათ შეიმუშაონ ამ დადგენილების რეალიზაციის კონკრეტული გეგმები, მათში ასახონ პირად შემადგენლობასთან მუშაობის, ცენტრალური აპარატისა და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლის გაძლიერების, მისი ორგანიზაციის მუდმივი სრულყოფის ღონისძიებანი.

პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან მოქმედმა დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის კომისიებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების ფაქტების წინააღმდეგ, მათი აღკვეთისა და დაძლევის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებისათვის. პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებულმა სამუშაო ჯგუფებმა „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად სისტემატურად უნდა შეისწავლონ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებათა ფაქტები, განსაზღვრონ მათზე რეაგირების ღონისძიებანი.

პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სახალხო კონტროლის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შრომელთა სულ უფრო ფართო მასების მონაწილეობა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პრინციპული რეაგირება მოახდინონ მათი გამოვლინების თითოეულ ფაქტზე.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა უფრო აქტიურად უნდა ჩაუნერგონ შეურიგებლობა ბიუროკრატიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, უფრო გაბედულად გაამთრახონ ფორმალიზმის მატარებლები, შეუბრალებლად გააკრიტიკონ რანგების მიუხედავად, უფრო ფართო პროპაგანდა გაუწიონ მუშაობის ორგანიზაციის დადებითს მაგალითებს.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ განიხილონ ეს დადგენილება და შეიმუშაონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოებრიობის გაქტიურების კომპლექსური პროგრამა ბიუროკრატიზმის, ფორმალიზმისა და საქმის გაჭიანურების გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამართველო აპარატის მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერება. (საქინფორმი).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ ბ. Ვ. ᲐᲓᲚᲔᲘᲑᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(ᲡᲝᲩᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲝᲚᲥᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ)

ამხანაგო დეპუტატებო! ყოველ ჩვენგანზე უდიდესი მთაბეჭდილება მოახდინა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, სიტყვამ, რომელიც ამ პლენუმზე წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ღრმა, ყოველმხრივი ანალიზი, სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების არსებულ შესაძლებლობათა ობიექტური შეფასება, ნაკლოვანებათა პრინციპული კრიტიკა და მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზების მითითება ჩვენგან მოითხოვს მთელი სიმკაცრით, საფუძვლიანად მივუდგეთ მომავალი ხუთწლედის პირველი წლის სამუშაოთა პროგრამის შესრულებას, რომლის ამოცანებსაც განსაზღვრავს სკკპ XXVI ყრილობა. მათი განხორციელების საფუძველი იქნება ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის იმ მითითებათა განუხრელი შესრულება, რომ შეუპავრად და მტკიცედ ავამაღლოთ მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, კიდევ უფრო განვამტკიცოთ დისციპლინა, განვავითაროთ ინიციატივა ადგილებზე.

მივდივართ რა პარტიის მიერ ნაჩვენები გზით, ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ, თუ როდიდან ბევრი რამ გაკეთდა სკკპ XXV ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში, რა უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები მოხდა ქვეყანაში, თითოეულ მოძმე რესპუბლიკაში.

ამის მკაფიო მაგალითი გახლავთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავება, რომელმაც მეათე ხუთწლედში მაღლა იწია ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის მკვეთრ ამაღლებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებთან შემდგომ დაახლოებას.

რესპუბლიკის მშრომელებმა უზრუნველყვეს საზოგადოებრივი წარმოების. მასშტაბების არსებითი დაახლოება. წინასწარი მონაცემებით, წარმოებული ეროვნული შემოსავალი ხუთწლედის მანძილზე გაიზრდება 43 პროცენტით, მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გადიდდება 41 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობა — 35 პროცენტით, რაც უზრუნველყოფს დასახული ამოცანების შესრულებას.

დღეს უკვე მკაფიოდ იგრძნობა რესპუბლიკის ეკონომიკის დარგობრივი და სოციალური სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის შედეგები. კერძოდ, მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობაში მატულობს მრეწველობის, მეტადრე მანქანათმშენებლობის წვლილი.

ყურადღებას იპყრობს სოფლის მეურნეობაში მომხდარი დიდი გარდაქმნები. რესპუბლიკის მეჩაიეებმა ჯერ კიდევ მიმდინარე სეზონის დამდეგს შეასრულეს ხუთწლედის დავალება. დასახულ მიჯნებს გადააჭარბებენ მეციტრუსენი და მევეხახენი. დადებითი შედეგებია მიღწეული მეცხოველეობისა და მებოსტნეობის განვითარებაში. მარცვლეულის წარმოებასა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში.

ყოველივე ეს მიღწეულია რესპუბლიკის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ხელმძღვანელობისათვის გაწეული დიდი მუშაობის, მართვის მექანიზმის სრულყოფის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის მეოხებით. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების თაობაზე ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მითითებათა რეალიზაციის

პოლიტიკური მეცადინეობანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთოთხე სესიის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესახებ

პარტიული და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების, ეკონომიკური, განათლების სისტემაში, კომუნისტური შრომის სკოლებში იწყება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დოკუმენტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთოთხე სესიის მასალების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესწავლა. სანიმუშოდ გთავაზობთ მეცადინეობის შემდეგ გეგმას.

1. მეათე ხუთწლედის შედეგები — 1981 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის ამოსავალი ბაზაა. სკკპ XXIV და XXV ყრილობების მიერ შემუშავებული პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის სისწორე, ახალი დიდი ნაბიჯი მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, სოციალური ამოცანების გადაწყვეტის გზაზე. ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი პოტენციალის ზრდა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება. ეკონომიკური ზრდის სიძლიერნი და სირთულენი. ქალაქისა და სოფლის მშრომელთა შრომითი გმირობა.

ახალი სახალხო-სამეურნეო გეგმა პარტიის საერთო ეკონომიკური პოტენციალის გამოხატულებაა. როგორ უზრუნველყოფენ 1981 წლის გეგმა და ბიუჯეტი მთელი ქვეყნისა და თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის უფრო ღრმა შემობრუნებას იმ მრავალფეროვანი ამოცანების გადაწყვეტისაკენ, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან რომ არის დაკავშირებული. ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა პარტიის პოლიტიკის ცენტრშია. სურსათით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების ამოცანის უპირველესი მნიშვნელობა. სასურსათო პროგრამის შემუშავება. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი განვითარება. „ბ“ ჯგუფის დარგების სწრაფი აღმავლობა დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა. პარტიის პოლიტიკა საბინაო მშენებლობის დარგში. ყურადღება არ მოვაკლოთ შრომის პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის გაუმჯობესებას. ადამიანისადმი ყურადღებიანი, გულისხმიერი დამოკიდებულებით უნდა იყოს გამსჭვალული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების მუშაობის მთელი სტილი.

3. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია ეკონომიკის ეფექტიანობის აუმაღლებლად, მთელი საზოგადოებრივი წარმოების უინტენსიფიკაციოდ. ეკონომიკის ეფექტიანობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების განუყოფელი კავშირი. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტის, ქიმიის განვითარების ამოცანები. რესურსების კონცენტრაცია კაპიტალურ მშენებლობაში. სათბობისა და ენერგიის ფართო ეკონომიისათვის, უყაირათობისა და ფლანგველობის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის აუცილებლობა.

დაგეგმვის გაუმჯობესების საკითხები. ცენტრალიზმისა და დემოკრატიულ საწყისს შორის სწორი თანაფარდობის ამოცანები. თანამიმდევრულად და მტკიცედ განვახორციელოთ დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ.

განუხრელად დავნერგოთ მოწინავე გამოცდილება, გავაუმჯობესოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, ავამაღლოთ კადრების პასუხისმგებლობა.

4. წარმატებით დავამთავროთ მეათე ხუთწლედი, ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXVI ყრილობას. პარტიის XXVI ყრილობის აღსანიშნავად გაშლილი საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. როგორ ასრულებს თითოეული შრომითი კოლექტივი სოციალისტურ ვალდებულებებს.

ინგარიშგება-არჩევნების კამპანია პარტიის ცხოვრების, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ყველა მხარის ანალიზის. არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავების პასუხსაგები ხანაა. იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება პარტიისა და ხალხის მოქმედების საბრძოლო პროგრამაა.

საერთაშორისო ცხოვრება

ლონდონის ჯურნალიდან

ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით

მსოფლიო საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღებას იპყრობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგები, სიტყვა, რომელიც პლენუმზე [illegible] მოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

კომენტარში, რომლის სათაურია „შემდეგი დინამიკური ზრდა სსრ კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ“, გაზეთი **„ნიუფაუნდლენდ“** (დერ) ხაზს უსვამს იმას, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ეკონომიკის დარგში თავისი პრაქტიკული მუშაობის ცენტრში დააყენა საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება.

თავის კარგად დასაბუთებულ სიტყვაში, აღნიშნავს ბრატისლავის **„პრავდა“,** ლ. ი. ბრეჟნევმა ორმაგ გააანალიზა საბჭოთა ეკონომიკის არა მარტო მომდინარე შედეგები და ამოცანები, არამედ აგრეთვე მისი განვითარების პროსპექტიკა, უახლოესი წლებისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის პერსპექტივები. სიტყვა შეიცავს მომავალ ოთუწლედში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ვრცელ დასასათებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გაშუქებისას ბურჟუაზიული პრესა, რომელსაც დიდი ბიზნესი უწევს კონტროლს, განსაკუთრებულ უგულებელყოფდა ლეონიდ ბრეჟნევის სიტყვის მთავარ [illegible]ეტებს, აღნიშნავს ამერიკელ მშრომელთა გაზეთი **„დეილი უორლდი.** იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ზედიზედ აწყდება კრიზისებს, წერს გაზეთი სარედაქციო სტატიაში, საბჭოთა კავშირისათვის უცხოა წარმოების დაქვეითება, უმუშევრობა, ინფლაცია, მყიდველობითი უნარის საზარელი შემცირება, რაც ესოდენ დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის.

საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებამ — შეიმაციოს 1981 წელს თავდაცვის ხარჯები, კვლავ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ იგი ესწრაფვის ბოლო მოუღოს გამოლეულ შეიარაღებას, ასკვნის დიდი ბრიტანეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწე **გორდონ შაფრი.** ეს გადაწყვეტილება, ისევე როგორც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიიდან იქ მყოფი სამხედრო მოსამსახურეებისა და ტანკების ნაწილის გამოყვანა, ამხილებს ბრიყვულ მითს „საბჭოთა კავშირის მხრივ ომის საფრთხის შესახებ“, რომელსაც დასავლეთში ავიცელებენ, რათა გაამართლონ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება და ახალი შეკვეთები აღებინონ იარაღის ფაბრიკანტებს.

ნაყოფიერი თანამშრომლობა

პლზენი, 25 ოქტომბერი. ჩეხოსლოვაკიის მანქანათმშენებლობის ფლაგმანში — ლენინის სახელობის კომბინატ „შკოდაში“ გაიმართა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს მეგობრულ ვიზიტს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში. მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს გ. ჰუსაკს და ა. პ. კირილენკოს.

მიტინგზე გამოვიდა ა. პ. კირილენკო, რომელსაც შეერებლინი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ. მოხარული ვარ გაცნობოთ, თქვა მან, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კომბინატ „შკოდას“ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, და მათი სახით ჩეხოსლოვაკიის მთელ მუშათა კლასს, ყველა მშრომელს გითვლით მხურვალე სალამს და გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენი შესანიშნავი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში!

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობა ამკამად ჩვენი ხალხების აღმშენებლობითი საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს. მის გაღრმავება-განვითარებაში წამყვან როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნების კომუნისტური პარტიები, მათი ურთიერთობა, რომელიც გამსჭვალულია ინტერნაციონალიზმის პრინციპისადმი ერთგულებით, ორმხრივი პატივისცემითა და ნდობით. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის განვითარებაზე უდიდეს გავლენას ახდენენ ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის შეხვედრები, მუდმივი კონტაქტები ჩვენი პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს შორის.

მიტინგი გადაიქცა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობის, მარქსიზმ-ლენინიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი ერთგულების მანიფესტაციად.

ირან-ერაყის კონფლიქტი

ბაღდადი, 25 ოქტომბერი. როგორც ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობა იუწყება, ერაყის ჯარებმა სრული კონტროლი დაუწესეს ქალაქ ხორამშარს და სდევნიან ირანის ჯარების ნაშთებს, რომლებიც ქალაქ აბადანის მიმართულებით იხევენ.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საერთო ანგარიშით განვლილი დღე-ღამის მანძილზე ჩამოგდებულია 10 ირანული თვითმფრინავი და ვერტმფრინავი.

ერაყის ავიაციამ დაბომბა ახვაზ-ბენდერ-შახფური რკინიგზის ობიექტები, ახვაზის ჩრდილოეთით მდებარე ნავთობსაცავები, სამხედრო ტრანსპორტი ტახტრის რაიონში.

თეირანი. ირანის შეიარაღებული ძალების გაერთიანებულმა შტაბმა უარყო ის ცნობა, რომ ერაყის ჯარებმა ხორამშარი აიღეს. თეირანის რადიო იუწყება, რომ ჯერჯერობით ერაყელებმა მხოლოდ ქალაქის ცალკეული რაიონები დაიკავეს. როგორც აცხადებენ, არტილერიის ცეცხლს უშენენ და თვითმფრინავებით ბომბავენ აბადანს, ახვაზს, შუშტერს. ქალაქ სარაპულე-ზოჰაბის რაიონში მიმდინარეობს ფიცხელი ბრძოლები, რომლებსაც დიდი დანაკარგები მოსდევს ორივე მხრივ.

როგორც გაერთიანებული შტაბი იუწყება, ირანის ავიაციამ დარტყმები მიაყენა აგრეთვე სამხედრო გარნიზონებსა და ჯარის ნაწილებს ერაყის ტერიტორიაზე.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

25 ოქტომბერი

● **ამანი.** ისრაელის კნესეტის (პარლამენტის) საფინანსო კომისიამ მოიწონა ასიგნებანი ათი მილიონი შეკელის რაოდენობით ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე დასახლებების მშენებლობისათვის.

● **ლუსაკა.** აქ გამოცხადეს, რომ ზამბიის დედაქალაქსა და მთელ რიგ სხვა დასახლებულ პუნქტებში შემოღებულია კომენდანტის საათი.

● **ბრაზილია.** ბრაზილიის ქალაქ ბელენში, რომელიც მსოფლიოს უდიდესი მდინარის ამაზონის შესართავის ახლოს მდებარეობს, გაიხსნა ამაზონის პაქტის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების პირველი თათბირი.

ფოტოინფორმაცია

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის „მკაცრი“ ეკონომიკური კურსი ტრაგიკულ გავლენას ახდენს ამერიკელ მშრომელთა ცხოვრებაზე. ყოველდღიურად მატულობს უმუშევართა რიცხვი.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ავტომობილმშენებლები. უკანასკნელ ხანს ამ დარგის ათიათასობით მშრომელმა დაკარგა სამუშაო.

სურათზე: დეტროიტელი ავტომშენებელი სამუშაოდან დათხოვეს.

იუპი-საკლესის ფოტო.

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

საერთაშორისო საკითხავი

ᲜᲝᲕᲔᲚᲐ

ამერიკის შეერთებული შტატების ცხოვრებიდან

თვითმკვლელობა

რევაზ მიშველაძე

ᲠᲘᲩᲮᲔᲚᲘ დიდხანს არ გაგრძელებულა. შავ კოსტიუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილ „ოპერატორებს“ ჰალსტუხებიც კი ერთნაირი ეკეთათ. სერიოზული სახეებით დაადგეს ბენზინგადგმულ ისინი ოთახში, და ჯიმის მოეჩვენა, რომ სევდაც კი ეხატათ სახეზე. უხეშად არ იქცეოდნენ. უჯრას რომ გადმოაპირქვავებდნენ იატაკზე, ერთს გადაჰკრავდნენ თვალს, გულმოდგინედ ჩაალაგებდნენ ისევ და, უჯრას თავის ადგილას რომ შეაცურებდნენ, სამივენი ერთად გამოხედავდნენ მასპინძელს. ჯიმი მშვიდად და ეუგრენოდ შეჰყურებდა სტუმრებს. არც მაშინ გატოკებია წარბი, ქაღალდების უთავბოლო ჯერდეში უბის წიგნაკები და ძველი დღიურები რომ ამოჩხრიეს, თითქოს ბოდიშს იხდიანო, მოწაფეებივით გარსშემოეწყვნენ მასპინძელს და სთხოვეს, ესენი უნდა გვათხოვოთო ცოტა ხანს. ჯიმის არაფერი უთქვამს. თვითონაც უკვირდა; ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ეს ყოველივე მას არც კი ეხებოდა, თითქოსდა შემთხვევით შემოესწრო ვიღაცის ოთახის ჩხრეკას და ახლა ზრდილობის გულისთვის იდგა კარებში. „თუ ყველაფერი ასე იწყება, სულ არ ყოფილა ძნელიო“, გაიფიქრა, როცა ჩხრეკის ოქმზე ხელი მოაწერინეს და ხაზგასმული მოწონებით სთხოვეს, მართალია ცოტა გვიან არის, მაგრამ ერთი საათით ჩვენთან უნდა წამობრძანდეთ, შერიფი გიბარებთო.

ისე გამოეწყო, როგორც ექსკურსიაზე წასვლისას იცოდა. ხავსისფერი სვიტრი, ლაჯებში ტყავგამოკერებული ჯინსის შარვალი და ბუკლეს ჭრელი პიჯაკი ჩაიცვა. საბუთები და ოცი დოლარი ჩაიდო ჯიბეში. ფეხზე — მაღალყელიანი ფრანგული „შიბლეტები“. გასვლისას სარკეში ჩაიხედა, თმა გადაივარცხნა და ბიჭებს გაულიმა — თუ შეიძლება, გასაღებს მეზობელს დავუტოვებ, ვინ იცის, როდის დავბრუნდებიო.

ორმა ბიჭმა, მესამეს, ჰალსტუხმოჯორჯალებულ, გრძელ ხელება პოლიციელს შეხედა.

— უხერხულია ამ შუაღამისას მეზობლის შენუხება. გასაღები თქვენთან იყოს — განზე გაიხედა.

მანქანის უკანა კარი გამოაღო. თითქოსდა სულ ამ ტრანსპორტით მგზავრობსო, კიბეც თვითონვე გადმოსწია, ავიდა და კუთხეში მიჯდა. კარი გარედან დაუკეტეს და სამივენი კაბინაში მოკალათდნენ.

„ახლა კი ყველაფერი დამთავრდა“, გაიფიქრა და გასაოცარი შვება იგრძნო. თითქოს ძელიდან ჩამოხსნესო. ამ დღეს ერთი კვირაა ელოდა. უკვირდა კიდეც, რომ ასე დაგვიანებით „გაიხსენეს“. ზუსტად ერთი კვირის წინათ, იმ ოთხშაბათს კარლი დაეპატიმრეს. დედამისმა დაურეკა გამთენიისას აკანკალებული ხმით. მთელი დღე ყურებში უნოდა მოხუცი ქალის შეშფოთებული ხმა: „შვილო ჯიმი, რა მოხდა, მე რატომ დამეღუპეთ?“ მეორე დღეს პერკინს კლერი წაიყვანეს სამსახურიდან. ღამით მისი ბინაც გაჩხრიკეს, ვილი სან-ფრანცისკოდან დააბრუნეს, სადგურიდანვე აიყვანეს ჩემოდნით და ბაკვის ველოსიპედით ხელში. ეს ერთი კვირაა სახლიდან არ გამოსულა, ელოდა რომ მოაკითხავდნენ და ეს მოლოდინი ნერვებს უშლიდა. ოთახში ადგილს ვერ პოულობდა. მის ფანჯარასთან ფეხათრვით ჩაელილ უცნობს გაულიმა კიდეც ერთხელ, პასუხად უცნობმა ნაბიჯს აუჩქარა და თხუთმეტ წუთში სხვა კაცი „დასეირნობდა“ ჯიმის ფანჯრებთან.

„მაშ, ასე, ღმერთო, რა მალე გაირკვევა ყველაფერი. მზად როგორ არა ვარ, მაგრამ ის საზარელი სიმართლე მაშინებს, გამცემის თვალებს რომ წავაწყდები. დანარჩენი ყველაფერი ჩვეულებრივად წავა. როცა ამ საქმეზე მივდიოდი, მე ხომ უკვე ვიცოდი, რაც მელოდა. ალბათ ამიტომ ვარ ასე მშვიდად. ავად თუ კარგად მე ჩემი გავაკეთე. დამწყების ბოლო ხშირად ასეთია. ახლა ალაგრდი თქვენზეა. მანქანამ ამსტერნგის ქუჩაზე არ შეუხვია, ეტყობა ორმოცდამეორე ავენიუზე მივყავართ, პოლიციის მთავარ სამმართველოში.

საათს დახედა. ორს წამები აკლდა. მძღოლის ზურგიდან გაჰყურებდა ცარიელ ქუჩას. ყვითლად გაჩახჩახებულ ტრიფტუარებზე მარტო მენაგვეები და სამსამად მოსეირნე პოლიციელები ჩანდნენ.

მძღოლის გვერდით მჯდარმა ახალგაზრდა პოლიციელმა მიკროფონს ჩასძახა და უნაწერო, შავი ალაყაფის კარები მეყვსეულად გაიღო. მერე დიდხანს მიდიოდა მანქანა პოლიციის ჩაბნელებულ ტალანებში. საპატიმრო ჯიმის სხვაგვარად წარმოედგინა. მას ეგონა, რომ ბორკილდადებულს მოუწევდა გავლა გრძელ დერეფანში და იქით-აქეთ რკინის გალიებს მომდგარ პატიმართა მისალმებებში ამაყად თავაწეული მივიდოდა თავის საკანამდე. მსგავსი არაფერი მომხდარა. მესამე კიბეზე ჩადიოდნენ ახლა ის და მისი გამყოლი და ჩამიჩუმიც არ ისმოდა, კაცი-შვილი არ შეხვედრიათ, ავად დაგმანულ გისოსებიდან კვნესა რაა, პატიმრის ერთი ამოოხვრაც კი არ გაუგონია. ჯიმის ეჩვენებოდა, რომ ეს ამოდენა პოლიციის დეპარტამენტი ცარიელი იყო და ცოტა არ იყოს რცხვენოდა კიდეც თავისი თანამგზავრისა, რომ ასე უდროო დროს აიძულებდა მასთან ერთად ევლო ულიფტო შენობაში ალმადალმა.

— სერ! — პირტიტველა პოლიციელმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

ჯიმმა ქამანდნასროლივით მოღრეჯა კისერი.

— მგონი მოვედით, ერთ წუთს დამელოდეთ — ტყავგადაკრულ კარებს მიაწვა.

ჯიმი კედელს მიეყრდნო, დოინჯი გაიკეთა და მოცლილი კაცივით ფეხიც კი შეუბიჯგა სხეულს.

ხუთიოდე წუთში იგი ხანშესული ზანგის წინაშე იჯდა. ზანგს ჯიუტ, ხუჭუჭა თმაში ჭაღარა შერეოდა. მოკლესახელოებიანი თეთრი პერანგი და ემპაიერ ბილდინგის გამოსახულებიანი ჰალსტუხი ეკეთა. გამხდარი იყო და ჯიმის მოეჩვენა, რომ ზანგისთვის სრულიად უჩვეულო წვრილი მაჯები ჰქონდა.

— მე ფოკლენდი მქვია — უცერემონიოდ დაიწყო ზანგმა, როცა მარტო დარჩნენ, წამოდგა, კარადა გამოაღო, „ომი და მშვიდობაზე“ უფრო (სქელტანიანი წიგნი დაითრია და მაგიდაზე დაატყაპუნა — ეს კი თქვენი საქმეა:

— ოჰო?! — გაიკვირვა ჯიმმ

— კარგად გიმუშავნიათ.

— მინდა იცოდეთ, მისტერ ჯიმ, რომ ირონია ჭირივით მძულს. ამ დეპარტამენტში მე უფრო დიდი თანამდებობა მიჭირავს, ვიდრე თქვენი ტომის შედგენა გახლავთ. მე ეს საქმე (გაიღიმა) თქვენი მოღვაწეობის ნუსხა მხოლოდ გუშინწინ გადმომეცა.

— შეიძლება გკითხოთ? — ჯიმი წინ გადაიხარა და ხელები მუხლზე დაიწყო — რამდენი დრო დაჭირდათ?

— მე ამის თქმის უფლება არა მაქვს, მაგრამ ჩვენს შორის თუ დარჩება, გეტყვით, თქვენ დამუშავებაში ხართ უკვე ორი წელია. მაპატიეთ „დამუშავებაში ხართ“ მთლად გამართული ინგლისური ვერ არის, შინაურული, პოლიციური ტერმინია.

— ჩემგან რაღაა საჭირო? — ჯიმიმ იგრძნო, რომ შეკითხვების მიცემის ინიციატივა იგდო ხელთ და ეუხერხულა თავისი საქციელი.

— გეჩქარებათ სადმე? — ზანგმა ყანაოთივით თეთრი, ქათქათა კბილები გააელვა.

— არა სერ, ჩვენი შეხვედრის აზრს ვერ ვხედავ. მე ხომ ვიცი, თქვენ როცა აპატიმრებთ კაცს, მისი საქმის გამოძიებაც დამთავრებული გაქვთ და მისი ბედიც გადაწყვეტილი.

— სახელდობრ?

— ეს ოცკილოგრამიანი წიგნიდან ჩანს.

— თქვენ რა იცით, რა სწერია ამ წიგნში?

— ვხედები, იცით რა, მისტერ ფოკლენდ. მე კონსპირაციის საბურველით არ ვფარავდი ჩემს საქმეებს, თორემ არც ისეთი ჰოტროველა ვარ, თქვენს ბიჭებს ბულკივით ჩავვარდნოდი პირში. რას ვაკეთებდი მე? გაფიცულების დასაცავად პეტიციებს ვუგზავნიდი მთავრობას, მამხილებელ სტატიებს ვწერდი, მიტინგებზე სიტყვებით გამოვდიოდი ადამიანის უფლებების დასაცავად, ხელმოწერებს ვაგროვებდი უდანაშაულო „დამნაშავეთა“ დასახსნელად, შემოწირულობებს ვაგროვებდი აფრიკის ჯუნგლებში დაღუპულთა ოჯახებისათვის. ვიბრძოდი ისე, როგორც ყველა პატიოსანი კაცი უნდა იბრძოდეს.

— და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს არ არის მთავრობის საწინააღმდეგო ქმედება?

— არავითარ შემთხვევაში, მე დიგერსიებს არ ვაწყობდი, ტერორს არ მივმართავდი და უცხოეთის დაზვერვასთან კავშირი არ მქონდა.

— შორიდან დავიწყოთ, — მისტერ ფოკლენდმა კონდიციონის ღილაკს თითი დააჭირა, —თქვენ ჩვენი მთავრობა გიყვართ?

— რომელი ჩვენი მთავრობა?

— ამერიკის.

— მთავრობა ძალიან ფართო ცნებაა, სერ. შეკითხვა კი თუმც ცოტა ბავშვური გახლავთ, მაგრამ ბავშვურადვე გიპასუხებთ, — არ მიყვარს. უფრო სწორად მთავრობის ზოგი წევრის საქმიანობა რადიკალურად არ მომწონს.

— მაინც?

— გრძელი ისტორიაა. მეც იმიტომ არ მომწონს, რატომაც თქვენ არ მოგწონთ. თქვენ რომ არ მოგწონთ, ეს იმაზე გეტყობათ, რომ ბრიყვი არ ჩანხართ. თუ სიმართლე გინდათ, თქვენ ჩემზე მეტი ოპოზიციონერი იქნებით გულის სიღრმეში, რადგანაც პოლიციაში მუშაობთ და მეტი საბუთი გაქვთ იყოთ უკმაყოფილო.

— საქმე იმაშია, რომ თეორიული საფუძველი ურგო როდენ გვაქვს, მაგრამ ეგ ყველაფერი ქაღალდზე დარჩა, ჩვენ კი სხვა გზით წავედით.

— მაინც?

— ჩვენი უბედურების თავი და თავი სწორედ ეგ არის. უტრეცედენტო დაშორება სიტყვასა და საქმეს შორის.

— ?!

— ერთს გავყვირით და მეორეს ვაკეთებთ, ამიტომაცაა, რომ, თუ ხედავთ, ხელისუფლების წარმომადგენლები თანდათან მარტო რჩებით, მასამ კარგა ხანია ზურგი შეგაქციათ.

— მაგრამ ჩვენ ხომ მსოფლიოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ქვეყნის სახელით ვართ ცნობილი.

— ამაზე მხოლოდ თქვენ და თქვენი მარიონეტები გაჰყვირიან. ისინიც მხოლოდ მაშინ იწყებენ გლახა ძაღლივით ყეფას, როცა ოსპის წვენს დაუდგამენ. გულის სიღრმეში მათაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი. ბრმა უნდა იყო, რომ ვერ ხედავდე, როგორ მცირდება დღითი-დღე შეერთებული შტატების ერთგულთა რიცხვი.

— მიზეზი?

ჯიმის გაეცინა.

— თქვენ ხომ არ დამცინით, მოწყალეო ხელმწიფევ, განა მთელი საათი მიზეზზე არ გელაპარაკებით?

— ეგ ზოგადი მსჯელობაა. ზოგადად თქმა ადვილია.

— ისევ კონკრეტულად გნებავთ? კი ბატონო, პოლოვჩაკების ოჯახი ცხოვრობს ვაშინგტონში. ერთ მშვენიერ დღეს ამ ოჯახმა მოისურვა მოსკოვში გამგზავრება, ე. ი. სამშობლოში დაბრუნება მუდმივ საცხოვრებლად. თქვენ როგორ მოიქეცით? 1980 წლის 13 ივლისს პოლოვჩაკებს მოსტაცეთ 17 წლის ქალიშვილი ნატალია და 12 წლის ვაჟი ვლადიმერი. ბავშვების მოტაცება სანქციონირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ხელისუფლების, მათ შორის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

— ეს თქვენ რუსულ გაზეთში ამოიკითხეთ. ეჭვი არ დაგებადათ ამ სენსაციის სიზუსტეში?

— სხვათაშორის ამაზე რვა აგვისტოს მსოფლიოს რამდენიმე დიდმა გაზეთმა დასწერა და უნდა გამოგიტყდეთ, არაკომუნისტურმა გაზეთებმაც.

— როცა ამას ამბობთ, რატომ არ ფიქრობთ ორ გარემოებაზე: ჯერ ერთი ჩვენ საყოველთაო კეთილდღეობის ნანატრი დღეები ჯერ წინა გვაქვს, მეორეც განა ვერ ხედავთ, ადამიანის სულის გაჯანსაღების გზაზე მიმდგარ გასაოცარ ძვრებს. დღეს ხომ მთელი მსოფლიო ლაპარაკობს ამერიკული ცხოვრების წესზე.

— ო, მისტერ ფოკლენდ, — ჯიმმა ასანთის კოლოფი გააგორა მაგიდაზე, — ნეტავ, ამ პრობლემას სულ არ შეხებოდით. ყველაზე ადვილი დასამარცხებელი სწორედ სუპერმენზე კამათის დროს ხართ.

— რატომ?

— ალიბის უქონლობის გამო. სტატისტიკა თუ დაინტერესდება; ამერიკის მოქალაქეთა უმეტესობა ბიზნესმენობს ამ სიტყვის უკიდურესი მნიშვნელობით, ესე იგი ან თაღლითობს, ან იპარავს, ან თავისი ჯანმრთელობის საზიანოდ ზედმეტად ტვირთავს თავის ტვინსა და კუნთებს. გახსოვთ, რა დიდის ამბით გავყვირეოდით ახალი ამერიკელის, სუპერმენის აღზრდაზე. მოდით და ინხელეთ ჩვენი აღზრდის პროდუქტი. აბრამ ლინკოლნი რომ გაეცოცხლდეს ახლა და გადახედოს შეერთებულ შტატებში დანაშაულობათა ზრდის ნუსხას, უეჭველად თავს მოიკლავდა. საზოგადოების დიდი ნაწილი რწმენაშერყეულია, ხოლო საგრძნობი ნაწილი აშკარა დანაშაულობათა გზას ადგას. შორს რომ არ წავიდეთ და რიგითი ამერიკელები არ შევანუხოთ, უკანასკნელი დღეების ორ მაგალითს შეგახსენებთ, როგორ უცქერით იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტის ძმა — ბობი კარტერი ლიბიის ხელისუფალთაგან ქრთამად იღებს მეოთხედ მილიონ დოლარს და სანაცვლოდ თავისი გავლენიანი ძმის მფარველობას ჰპირდება? ხოლო თვით პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ერთ-ერთი არაბული ქვეყნის ელჩისაგან „ძღვნად იღებს ოქროთი ინკრუსტირებულ, ორმოცდაათი ათას დოლარად ღირებულ უნაგირს? — სწორედ ჟურნალისტთა მონაჭორზე ბრძანებდით ახლახანს. ამ „ფაქტებს“, როგორც თქვენ უწოდებთ, ჯერ კიდევ დამტკიცება სჭირდება.

— გამომიებამ კორექტივი შეიძლება მხოლოდ უნაგირის ზუსტ ფასში და ბობი კარტერის მიერ ქრთამის აღების თარილში შეიტანოს.

მისტერ ფოლკლენდმა თითები ერთმანეთში გაუყარა და ერთბაშად მოიწყინა.

— თქვენ საშიში კაცი ხართ! — მხოლოდ იმათთვის, სერ, ვისაც სიმართლის ეშინია.

— ხსნა?

— კვლავ დაჟინებით გიმეორებთ, ისტორიის ჩარხის უკუღმა დაბრუნებას ნუ შეეცდებით. ჩვენმა სახელმწიფომ თავისი მისია ამონურა.

— ეს ოცკილოგრამიანი წიგნიდან ჩანს.

— ეს ოცკილოგრამიანი ნაგავი ... ერთ-ერთ ... ჯიმ. ... ... მოგცეთ. ამერიკის სასამართლო ჰუმანურია.

— ოღონდ ჰუმანიზმზე ნუ ილაპარაკებთ. მე უკვე მზადა ვარ მორალურადაც და ჩაცმულობითაც. თქვენი ბიჭების ვიზიტს რომ ველოდი, ამ ერთ კვირაში, ყველა ვალი გავისტუმრე, ბინისა და გაზის ხარჯებიც გადავიხადე ბიზნესმენები უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამეყენებინა, რაც შეეხება დაფიქრებას, ჩემი აღზრდა უკვე გვიან არის, მე ხომ ზოგი ჩვენი საერთო ნაცნობივით ისე სუსტი არა ვარ ათ წელიწადს საკანში დავფიქრდე და მერე. საჯაროდ გამოვაცხადო — ღრმად ვცდებოდიო. ჩემს შეცდომაში კიდეც რომ დავრწმუნდე, რაც არასოდეს არ მოხდება, ჩემი ლაჩრული უკანდახევით მაინც არ გაგახარებთ.

— რატომ არ ფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენ გარდა ასეთი მშვიდი დარწმუნებისა, სხვა საშუალებებსაც ვფლობთ.

— ნება თქვენია.

ზანგი წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა, ზურგზე ხელები დაიწყო და მოუხედავად ჯიმისა პატიმარს:

— ჯიმ, თქვენ ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით?

— შემრცხვებოდა იმ სკამზე ჯდომისა, რაზეც ახლა ზიხართ. გააჩნია ვის იცავთ და ვისგან იცავთ. მე თქვენს ადგილას როგორც გაკოტრებული სახელმწიფოს დამქაში გადავდგებოდი სამსახურიდან.

— ცოლ-შვილი?

— ცოლ-შვილის რჩენა, გარდა პოლიციაში სამსახურისა, სხვა ათასი გზითაც შეიძლება.

მისტერ ფოკლენდი ერთბაშად შემობრუნდა და ენერგიული ნაბიჯით წავიდა კარისაკენ. ღია კარებში შეჩერდა:

— თუ შეიძლება, ცოტა ხანს დამელოდეთ.

— სიამოვნებით არ დაგელოდებოდით, რომ შემეძლოს, — ჯიმის გაეცინა.

პოლიციის მთავარი გამომძიებელი დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა. ჯიმს იგი უფრო ნაღვლიანი და დამძიმებული ეჩვენა. სტუმარს ბოდიში მოუხადა დაგვიანებისათვის და სავარ

დღეს ზეიმია დედაქალაქში, გეპატიჟებით ყველას!

ოთარ შალამბერიძე

თბილისობა

სულს ზეიმი ეთაკარა
თავანკარა ტკბილი გრძნობის;
საქართველოს დედაქალაქს
ყამი უდგას თბილისობის.

სიცხადესთან შეზრდილ ზღაპარს
მოუხსნია ყველა გუდა;
ყამი უდგას ლელქნის ყაბახს,
ლამის ყელში გაიგუდა!..

მუდამშია კაცის თვალი,
ღმერთმა სწორედ აქ ინება
ცვრიანი და ნაცისკრალი
მტევნის ათინათინება.

მე, თბილისო,
ეთილიხმოს
ჩემს ლექსს ხავსი ნარიყალის;
შემეწოს ბედი ვინძლო, —
თვალი თვალში გამიყარე...

შრომის მადლი მოპფენია
ზოგან დახლებს,
ზოგან შუკებს;
დაბაა თუ სოფელია,
თავის ნაჯაფს მოგაშუქებს!..

თბილისობა!
ხილთა ქება,
სივრცე — სავსე სიამითა;
ულექსობა არ იქნება;
იმნაირად იამინდა.

მიხარია განახლება
უძველესი თაღის, ტაძრის;
გრძნობა მიწვევს ამაღლებად,
როგორც წამი ტალღის დაძვრის...

აქ სუნთქვაა, ღაღადია,
ფერი — ფერში მიმალული...
და მეც გულზე მახატია
სიმართლე და სიყვარული!..

ცას იმგვარი იერი აქვს,
მთელ მზეს იტევს წვეთი ნამის...
სიცოცხლეზე ძლიერია
ალმაფრენის ერთი წამი!..

გული მაინც პირველია,
ბოროწეულად გახახლეჩი...
თითქოს ვახშმად მიმელიან
დარეჯანის სახახლეში!

სულს ზეიმი ეთაკარა
თავანკარა ტკბილი გრძნობის;
საქართველოს დედაქალაქს
ყამი უდგას თბილისობის!

● ●

ზაქარია შერაზადიშვილი

მილიონური

ეს გაუმარჯოს შენს დიდ მილიონს,
ირგვლივ რომ დასცა ყველგან კარავი,
შენგან მოგვდგამს და
ნურამც დაგველიოს
ეს - ალმაფრენა დაუფარავი!

მოებზეც გადმოდენ ქართულ კერებად,
მტკვარს გადმოსცქერი
ყოველად წმინდანო,
სიხარულად და ბედნიერებად
განახლებულო მთელი მიდამო.

წევრი ოჯახის, მილიონედის
ხარობს სახელის შენის შორს
გახვლით,
შენს საშენებლად ქვეყნად მოვედით
სისხლნი და ღვიძლნი
ვახტანგ გორგასლის.

შენ საკარცხულო, ტახტო, აკვანო,
შენთვის მუშაკთა თბილო სამარეო,
შენთვის გვაქვს სუნთქვა,
შენ გეთაუვანოთ,
შენთვის ტრფიალი ვინც ვერ
დავმალეთ.

შეუგუარი ღამის, სიშავის,
მადლის, სიკეთის
შენ ხარ დამტევი,
ძეგლი, ხატება, ბეჭედ-ნიშანი
წინსვლის, ძალ-ღონის დიდი მატების.

სულ გამარჯვება შენს დიდ მილიონს,
ფუძით, კერით მთებზე აბვედი,
მოკეთე წრფელი
ნუ დაგლიოს,
ბედმა გაშოროს მტერი თავზედ!

ალვნური

ბარათაშვილზე
ქართულ აივნებს
არა მგონია სჯობდეს რაიმე!

ამ აივნების
მღიმარ რიკულებს
ჩამოვაშორეთ დუმილ-სიყრუე.

ირგვლივ ფერებად,
გრძნობად, სიმღერად
მაგ აივნების სითბო იღვრება.

მათი ფერების
აზიზ ფერიას
დრო და დუშმანი ვერ მოერია.

მსურს
ამ ფერებში სხივად ვერიოთ,
მკვდარიც ვერახდროს ვერ შევალიო!..







სურათებზე: ასე იცვლიდა სახეს თბილისი წლების მანძილზე.

ისევ გვიწვია დღეესასწაული! ძმობის, მეგობრობის, ერთობის დიდი სახალხო ზეიმი — თბილისელქალაქობა რომ დაანათლა ხალხმა. იგი შარშან, 28 ოქტომბერს იშვა, და კარგა ხანს ახსოვდა ხალხს ის ზღვა სიხარული, ამ დალოცვილმა დღესასწაულმა რომ მიანიჭა ყველა თბილისელს, ყველა ჩვენს კეთილმოსურნეს.

კაცთმოყვარეობა, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალური მდგომარეობის თუ ასაკისა, ოდითგანვე მოგვდგამდა, ოდითგანვე ყველა თბილისელის სისხლხორცეული თვისება იყო და ამიტომაც ახალმა საბჭოურმა წეს-ჩვეულებამ მალე დაიპყრო დედაქალაქის ყველა მოქალაქის გული.

კარგმა ტრადიციამ ბევრი სიკეთეც მოგვიტანა. ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის შედეგია, რომ ასე სიამაყით შეეყურებთ ძველი თბილისის აღდგენილ უბნებს, გახარებულნი რომ გავცქერით ბარათაშვილის განახლებულ ქუჩას, ციხე-ქონგურებსა და მოჩუქურთმებული აივნებით დამშვენებულ სახლებს, სადაც ბერრმა შემოქმედებითმა ორგანიზაციამ დაიდო ბინა.

ეს არის ჩვენს დიდებულ წარსულთან შეხვედრა, სახელოვან წინაპართა გახსენება, რომელთა შთამომავალნი ახლა აშენებენ ახალ ცხოვრებას, ამკვიდრებენ ახალ ლამაზ ტრადიციებს.

საზეიმო განწყობილება იგრძნობა ყველგან. მეტეხის პლატოზე ახლად რესტავრირებულ თბილისურ სახლში სასტუმრო „საქართველოს“ ფილიალი იხსნება. მშენებლები ასუფთავებენ მისასვლელს, მომსახურე ქალები რთავენ ნომრებს, მალე აქ მოსული სტუმარი დატკბება მტკვარგაღმა ნარიყალისა და ძველი თბილისის ულამაზესი პეიზაჟის ხილვით.

მეტეხის დაღმართზე, სუვენირების მაღაზიის ზედა სართული ქართული რიკულიანი აივნით დაუმშვენებიათ. მის გვერდით აგურით ნაშენი ხვეული ასასვლელი გაუკეთებიათ.

მანქანების დიდი მსვლელობა, დიდი რესტავრაცია მხრებგაშლილ რიყეზე. კაფეს მახლობლად ლობე შემოუვლიათ. აქ აფხაზეთის კუთხეა მოწყობილი, პალმებითა და ციტრუსებით დამშვენებული. მათ მეზობლობს აჭარული ეზოსახლი, ბათუმისთვის დამახასიათებელი ერთი კუთხეა წარმოდგენილი თავისი ქოლგებითა და ყავის მაგიდებით.

აი სვანური კოშკი, მის წინ კალო გაუმართავთ. მესტიის რაიონის არქიტექტორი ნუგზარ ჩხეტიანი გვეუბნება, რომ ისინი სვანურ მასპინძლობას გაუწევენ აქ მოსული სტუმრებს. ზესტაფონელებს იმერული ეზო წარმოუდგენიათ თავისი სახლით, სამზადით, მარნით, ნალიით. აქ ისინი ყურძენს დაწურავენ, ქორწილის ინსცენირებას წარმოადგენენ, მერე კი იპოდრომისაკენ გაემართებიან. იმერეთ სახლს ზეიმის შემდეგ კომკავშირულ ქალაქს გადასცემენ. შესანიშნავია რაჭველების „დასახლება“, იგრძნობა ტრადიციის ერთგულება.

წაბლისფერი, ხის ჭრილებით დამშვენებული მეგრული ოდა-სახლი შორიდანვე იქცევს ყურადღებას. აქ კუთხის მთელი ეთნოგრაფიული მუზეუმია. ზუგდიდელები უმასპინძლებენ მომსვლელებს, იქ გურჯაანელებს მამაპაპური ჩალით გადახურული არყის სახდელი გაუმართავთ. ბოლნისელები, მცხეთელები და ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონების მშრომელები ხილით და ბარაქით სავსენი ოქროს შემოდგომას დღეესასწაულობენ.

ზეიმის ცენტრი — ბარათაშვილის ძეგლის მიდამო

კიდევ ახალი შეხვედრა წარსულთან. დამთავრდა ბარათაშვილის ძეგლის მიდამოს რეკონსტრუქცია-რეგენერაციის სამუშაოები. სახე იცვალა აღმართზე გაშენებულმა ნაგებობებმა, თეთრი, ფიროზისფერი, ოქროსფერი, თამბაქოსფერი რიკულებიანი, ბრტყელი ორნამენტებითა თუ ხისმაქმანიანი აივნებით დამშვენებულმა თბილისურმა სახლებმა თავისებური კოლორიტი შექმნა. აღმართი ძველი ქართული სტილის სანათებითა და აბრებით შეიმკო, სავალი ნაწილი და ტროტუარი ქვით მოიკირწყლა...

ძეგლის სკვერში თეატრონი მოეწყო. სცენა, მაყურებელთა „დარბაზი“, მისასვლელები, კიბეები, ყოველივე ისე ლამაზად შეეხამა კლდის ქანებს, თითქოს იგი ბუნებრივადაც ასეთი ყოფილიყოს. და, საერთოდ, აქაური განაშენიანება იმდენად შეერწყა გარემოს, რომ გავიწყდებათ მისი წარსული სახე.

ბარათაშვილის ძეგლთან გაიმართება საზეიმო ცერემონიალი და მიტინგი, მოხდება თბილისის საპატიო მოქალაქეთა კურთხევა და ძველი თბილისური სურათების ჩვენება-კონცერტი.

ჩემი სოფელი

დედაქალაქმა უხმო, და თბილისისაკენ, როგორც გულისკენ სისხლის ძარღვები, ისე დაიძრნენ რესპუბლიკის რაიონების გამოჯვ მშრომელები ხვავითა და ბარაქით დატვირთულნი, თან მოიტანეს შემოდგომის სურნელი და ფერები.

„ჩემი სოფელი“ — ასეთია დევიზი ზეიმისა, რომელიც იპოდრომზე გაიმართება და იგი სათავეს რუსთაველის პროსპექტზე აიღებს.

ცენტრალურ მოედანზე სოციალისტური შრომის გმირების კოლონა მიესალმება ტრიბუნაზე მსხდომთ და მიეულოცავენ ამ დიდ დღესასწაულს. ტრიბუნებს ჩაუვლის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მოძრავი გამოფენა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების მონაწილეობით გაიმართება შემოდგომის ხვავისა და ბარაქის დათვალიერება.

ზეიმი რა ზეიმია, რომ არ იყოს სიმღერა, ჯირითი, ისინდი, ცხენბურთი, ტრადიციული ლელობურთი.

დიდება შრომას!

— **აი** სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ზეიმის მთავარი დევიზი. დედაქალაქის საწარმოთა კოლექტივები სამშობლოს უპატაკებენ ხუთწლედის დავალებათა შესრულებას, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივთა პატივსაცემად აღმართება რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი, გაიმართება მიტინგი, შემდგომ კი ლხინი, დიდი სადღესასწაულო კონცერტი.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ნორჩ თბილისელთა დღესასწაულიც არის. პატარების ზეიმის თემაა „დაე, მუდამ იყოს მზე!“ და, ვინ მოთვლის, რამდენ სიხარულს გვპირდებიან ნორჩი მომღერლები, მოცეკვავეები, მხატვრები თუ მსახიობები.

ხალხური პოეზიის დღესასწაული

კუს ტბის ფერდობზე გაშენებული ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხალხური ყოფის პარკ-მუზეუმი უმასპინძლებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სახალხო მთქმელებს, გაიმართება ფშავური კაფიანობა, შაირობა, მოეწყობა ხალხურ ნაკეთობათა გამოფენა, მომღერალ ოჯახთა კონცერტი.

ზეიმობს მთელი თბილისი. დედაქალაქის ყველა რაიონს თავისი სპეციფიკისა და ტრადიციების გათვალისწინებით ექნება თავისი დღის საპროგრამო სადღესასწაულო თემა, რაც ხელს შეუწყობს თბილისქალაქობის ჭეშმარიტ მასობრიობას. რაიონის მშრომელთა მიღწევების ფართო ჩვენებას.

პირველი მაისის რაიონი ზეიმს ახალდაქორწინებულთა სკვერში, საბურთალო-დიდუბის შემაჯოლებელ ხიდთან აწყობს. ეს იქნება ნეფე-პატარძლის სკვერ. ქორწინების სახლიდან სკვერისაკენ. მთელი საქორწილო რიტუალის ჩვენებით. ლენინის რაიონი ლხინს თბილისის ზღვის მიდამოებში მართავს დევიზით: „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!“. გლდახის რაიონის დღესასწაულის დევიზია „ახალმოსახლეობა“, ოქტომბრის რაიონის ზეიმობის ძირითადი ადგილება ფოლკლორული თეატრი და მის წინ მდებარე ტერიტორია, კალინინის რაიონის სახალხო ზეიმის თემაა „შენ გიმღერი, ხალხთა ძმობის ქალაქო!“, კიროვის რაიონის დღესასწაულის ადგილი იქნება ყოფილ „შეითან ბაზრის“ მოედანი, ორჯონიკიძის რაიონის დევიზია „ახალგაზრდული ზეიმი“, 26 კომისრის რაიონი დღესასწაულს ახალგაზრდობის პარკში გამართავს, საქარხნო რაიონი — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მიკრორაიონში, ვარკეთილის მასივში.

გუშინ, 25 ოქტომბერს დედაქალაქის ყველა რაიონში გაიმართა საშემოდგომო ბაზრობა. თავიანთი ხვავი და ბარაქა ჩამოიტანეს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონის მშრომელებმა.

ამ სადღესასწაულო ზეიმისათვის საგანგებოდ მოემზადნენ თბილისის თეატრები, საკონცერტო დარბაზები. 26 ოქტომბერს დედაქალაქის კინოთეატრებში „რუსთაველში“ „კომკავშირელში“, „ამირანში“, „სპარტაკში“, „ოქტომბერში“ უჩვენებენ ძველი თბილისური თუ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების, მისი სახელოვანი ადამიანებისადმი მიძღვნილ მხატვრულ თუ დოკუმენტურ კინოფილმებს.

მეტად სასიხარულო დღესასწაული შემობრძანდება ჩვენს ქალაქში, იხარეთ, იდღეგრძელეთ, ჩვენო საყვარელო თანამოქალაქენო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!

ლ. ხუგულური.

საბერძნეთი აღფრთოვანებულია

ათენი, 24 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის შესანიშნავ გამოსვლებს საბჭოთა სკენაზე და საზღვარგარეთ, ამ კოლექტივის შემოქმედებითს აღმოჩენებს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა შესრულებაში, მარტო სპეციალისტები როდი უძღვნიან საქებარ რეცენზიებს.

ნიშიერი კოლექტივის წარმატებები კიდევ ერთხელ დადასტურა ამ თეატრის ახლახან დამთავრებულმა გასტროლებმა ათენსა და სალონიკში.

ყოველწლიურად ოქტომბერნოემბერში სალონიკში ეწყობა ხელოვნების ფესტივალი „დემეტრე“. ამ ფესტივალში მონაწილეობისათვის მისი ორგანიზატორები იწვევენ მსოფლიოს საუკეთესო დრამატულ, საგუნდო და საბალეტო დასებს. გამონაკლისი არც „დემეტრე-80“ ყოფილა, სადაც ცნობილ ბერძნულ და საზღვარგარეთულ კოლექტივებთან ერთად ორი საქართველოთ — ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ და უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“ — წარსდგნენ ქართველი მსახიობებიც.

იგივე ნაწარმოებები გამოიტანეს რუსთაველელებმა მოგვიანებით ათენის თეატრალური საზოგადოებრობის სამსჯველოზე. საბერძნეთის ცნობილი ეროვნული თეატრის სცენაზე მათ ექვსი წარმოდგენა გამართეს. კრიტიკოსებისა და საბერძნეთის პრესის მრავალრიცხოვანი და ერთსულოვანი გამოხმაურებების თანახმად, საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობამ დაამშვენა ტრადიციული ფესტივალი.

ხახგრძლივი, მჭუხარე ტაშით, მადლიერების გულითადი სიტყვებიდ შეხვდა სალონიკის თეატრალური საზოგადოებრიობა კოლექტივის გამოსვლას.

ათენის ეროვნული თეატრის გადაჭედილი დარბაზი, დიდი ინტერესი, რომელიც თეატრალური ხელოვნების მცოდნეებმა და ახალგაზრდობამ გამოიჩინეს რუსთაველელთა სპექტაკლებისადმი, მთი შემოქმედებითი წარმატების აღიარებაა. კრიტიკამაც და მაყურებელმაც ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ ენის პრობლემა (სპექტაკლები ქართულად მიმდინარეობდა) „სულაც არ უშლიდა ხელს ძალზე მაღალი დონის ხელოვნების შეცნობას“. ამას მოწმობს ბერძნული თეატრის თვალსაჩინო მოღვაწეთა გამონათქვამები. ცნობილმა ბერძენმა მსახიობმა მანოს კათრაკისმა თქვა: „ბევრი კარგი რამ მსმენია შოთა რუსთაველის თეატრის სპექტაკლებზე, და ახლა დავრწმუნდი, რომ იგი იმსახურებს ამას. განახლების ელემენტები, ნაწარმოების არსის წვდომა — ასეთია სახე ახალი თეატრისა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია ასწავლოს დასავლურ თეატრს“. ეროვნული თეატრის რეჟისორმა კოსტას ბაკასის აზრით, „ქართული სპექტაკლების რეჟისურა მხატვრული პოემაა, რომელშიც გამოყენებულია ყველა სცენური საშუალება“. საკდესის კორესპონდენტთან საუბრისას კრიტიკოსები, დრამატურგები, მსახიობები ხაზს უსვამდნენ რუსთაველელთა დიდ სცენურ კულტურას, მათს შთამბეჭდავ შესაძლებლობებს სიტყვის, პლასტიკისა და მუსიკის სფეროში.

„თითოეული შემსრულებლისა და მთლიანად კოლექტივის მდიდარი შესაძლებლობები შოთა რუსთაველის თეატრალური დასის უდიდესი მიღწევაა. ჩვენ დაგვატყვევა გრუზეს, აზღაკის, ჩიჩარდისა და სხვა როლების შემსრულებელთა შესანიშნავმა თამაშმა, მუსიკის მრავალეანრიანობამ“, — თქვეს მათ.

ბუნებრივია, რომ ბ. ბრეხტისა და უ. შექსპირის ბერძენი რეჟისორებისა და მსახიობებისეული გაზრება ზოგჯერ არ ეთანხმება რ. სტურუასეულ გადაწყვეტას. ეს

რუსთაველის თეატრის კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვება

შენიშნეს ბერძენმა კრიტიკოსებმაც და ადგილობრივმა თეატრალებმაც, მაგრამ ხელოვნებაში ძიება საძრახისი როდია, პირიქით, იგი ყოველმხრივ მისასალმებელია, თუ ეს ძიება გამსჭვალულია თეატრის წარსულ და ამჟამინდელ მიღწევებზე დაფუძნებული მდიდარი იდეებით.

რ. სტურუას ნიჭიერ, თავისთავადს რეჟისურაზე ილაპარაკეს ცნობილმა ბერძენმა მსახიობმა ქალმა ასპასია პაპატანასიუმ, რომელმაც 1971 წელს მთავარი როლები შეასრულა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დადგმულ „მედეასა“ და „ანტიგონეში“, და საბერძნეთის ეროვნული თეატრის დირექტორმა ალეკოს მიჩრტასმა, რომლის აზრით ქართველ მსახიობთა მიერ გააზრებული ბრეხტი „უფრო ახლოა ბრეხტთან, ვიდრე ამ დრამატურგის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილ მანამდე ნახან რომელიმე დადგმაში“. ასეთი აზრისანი არიან საბერძნეთის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სალონიკსა და ათენში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების შესახებ.

„ჩვენს გამოსვლას საბერძნეთში გულთბილად შეხვდა მაყურებელი, კრიტიკა, პრესა. ფრიად გვახარებს მთელი კოლექტივის დიდი წარმატება, იგი მოგვიწოდებს ახალი ძიებისა და გამარჯვებებისაკენ, — თქვა რობერტ სტურუამ. — საბერძნეთში გამართული გასტროლები იმ წარმატებათა კიდევ ერთი რგოლია, რომლებიც რუსთაველელებმა მოიპოვეს საზღვარგარეთ გამოსვლების დროს ისეთ ფესტივალებზე, როგორიცაა „სეოვანტესი“ მექსიკაში, „ბიტეფი“ იუგოსლავიაში, ავრეთვე ედინბურგსა და ლონდონში“.

ბრდა აღვნიშნო, რომ ბერძენმა მაყურებელმა ბევრი რამ იცის ჩვენი თეატრის, განსაკუთრებით ინგლისში მისი გამოსვლების შესახებ. ამას მოწმობს სალონიკსა და ათენში გამართული სპექტაკლების პროგრამებში დაბეჭდილი ინგლისის პრესის გამონათქვამები თეატრის გასტროლების თაობაზე, — თქვა დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. გურაბანიძემ. საბერძნეთში გასტროლების დროს მაყურებელთა დარბაზში შეხვედრების გარდა შეეხვდით და ვესაუბრეთ თეატრის და კულტურის მოღვაწეებს, სპეციალური, დაუგეგმავი სპექტაკლები გაეუმართეთ საბერძნეთ-საბჭოთა „კავშირის საზოგადოების წარმომადგენლებსა და ბერძენ კოლეგებს.

„და ყოველთვის ჩვენ თანამოსაუბრეებს ძალზე აინტერესებდათ საბჭოთა მსახიობების მომზადების სისტემა. ჩვენი თეატრების სტილი და რეპერტუარი, საბჭოთა ეროვნული ხელოვნების განვითარება. ისინი გაკვირვა ჩვენი რეჟისორებისა და მსახიობების ფართო შემოქმედებითმა გაქანებამ, ჩვენს ქვეყანაში თეატალური საქმის კარგმა დაყენებამ. გამოთქვამდნენ გულწრფელ დაინტერესებას საბჭოთა და ბერძენი ხალხის კულტურული კავშირურთიერთობის გაფართოება-გაღრმავებით“, — დასძინა მან.

უკან დარჩა კიდევ ერთი საგასტროლო წარმატება. წინ შრომა და ძიებაა. მით უფრო, რომ თეატრის კოლექტივი ემზადება ასი წლის იუბილეს აღსანიშნავად. „ეს თარიღი გვახარებს და ბევრ რამეს გვავალებს. ახლა თეატრი გაძლიერებით ემზადება სკკპ XXVI ყრილობისა და საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. რუსთაველელთა რეპერტუარშია თანამედროვე დრამატურგების ნაწარმოებები, რომლებიც ეძღვნება ჩვენს საბჭოთა სინამდვილეს“, — თქვა ნ. გურაბანიძემ.

ე. კეტროვი.

● ●

გაზეთი მზად იყო, როცა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კოლექტივი საბერძნეთიდან თბილისში ჩამოვიდა.

„გმადლობთ, პაპა!..“

ჩვენს სკვამოფენო დარბაზებში

სპორტის ოსტატის ვახტანგ მარსაგიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობისათვის. მან განსაკუთრებით თავი ისახელა სპორტულ სანახაობათა მასობრივ დადგმებში, რომლებიც თავისი მასშტაბურობითა და მხატვრულობით გამოირჩეოდა.

ვ. მარსაგიშვილი წლების განმავლობაში გატაცებით მუშაობდა ფერწერაში. მის ნიჭს აღიარებენ თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, მაგრამ იმ ხანებში სპორტის სიყვარულმა სძლია მხატვრობას და დროებით მიანება თავი სახვითს ხელოვნებას.

მაგრამ, სადაც უნდა ყოფილიყო, საკუთარი თვალით დანახული ბუნების გასაოცარი სილამაზის ფერებით აღბეჭდვის სურვილი არასდროს განელებია. ასე იქმნებოდა მშობლიური ქვეყნის პეიზაჟები, პორტრეტები, რომლებიც მხატვრის ოჯახის, მისი შვილების, ნათესავებისა და ამხანაგ-მეგობრების კუთვნილებად იქცა. ბევრჯერ ურჩიეს თავისი ხელოვნება, ფართო საზოგადოებრიობისათვის გაეცნო, მაგრამ თავს იკავებდა. საკუთარი თავისადმი მეტ მომთხოვნელობას იჩენდა.

და აი, ხალხური შემოქმედებისა და კულტურის საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრისა და გამომცემლობა „ფერნის“ ინიციატივით, „ფერნის“ საგამოფენო დარბაზში მოეწყო თვითნასწავლი მხატვრის ვახტანგ მარსაგიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

ვ. მარსაგიშვილის შემოქმედების მთავარი თემა მშობლიური ქვეყნის პეიზაჟი, მთები, მთელი თავისი ლამაზებით. მთის შვილი უგალობს ყაზბეგს, ხევს, მყინვარწვერს. გატაცებით ხატავს სვანეთის ციხე-კოშკებსა თუ მარადიულ მყინვართა სამფლობელოს. მისთვის დამახასიათებელი პოეტური ხილვის და განცდის ნაყოფია ხევსურეთის თემაზე შექმნილი ნამუშევრების სერია: „არღუნის ხეობა“, „სოფელი მუცო“, „ხევსურეთის არაგვი“, „სოფელი ბლო“. მთელი ბრწყინვალებითა და სისრულით არის წამოჩენილი ხალხური არქიტექტურის დიდებული ძეგლი შატილი. გამოფენაზე ამ ციხე-კოშკის მცხუნვარე მზით გაბრწყინებული თუ მთვარის შუქზე მორუხო-მოლურჯო ფერში გახვეული რამდენიმე ფრაგმენტია წარმოდგენილი. მხატვრის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს არქიტექტურულ პეიზაჟს. ამ მხრივ აღსანიშნავია „წმინდა სამება“, „სნოს ციხე“, „ანანური“, „მცხეთის ჯვარი“, „ვარძია“.

მნახველის ყურადღებას უთუოდ მიიქცევს დაღესტნური პეიზაჟები, ჩამავალი მზის შუქით განათებული მწყემსების ზამთრის საძოვრები თუ ბინდბუნდში გახვეული ზღვის პეიზაჟები.

ძველი თბილისი მხატვრის ერთ-ერთი უსაყვარლესი თემაა. იგი დიდი გატაცებით ხატავს დედაქალაქის ძველ უბნებს, ერთმანეთზე მიჯრილი აივნიანი სახლებით დამშვენებულ ვიწრო ქუჩებს, თავაზიანურ კოლორიტს რომ ანიჭებს ჩვენს ქალაქს. ექსპოზიციაში ძველი თბილისის თემას მთელი კუთხე აქვს დათმობილი.

შთაბეჭდილებათა წიგნში უკვე გაჩნდა მადლიერ თბილისელთა აღტაცების გამომხატველი პირველი სტრიქონები. მათ შორის უქვე ჰოოარა მხატვრისათვის ყველაზე ძვირფასია მისი შვილ-შვილები, კრიტიკა, ბრალი. ფრიად



ბის ბავშვური ხელით ჩაწერილი სტრიქონები: „გმადლობთ, პაპა! ვახტანგი, ნინიკო, რეზო, ირინა, გივი, ირინა“.

ლ. ტატიშვილი.

● ●

სურათზე: „სვანური კოშკი“.

ყაბალეგის ფესტივალი

ზეიმი ზრდილობად, გზაზე ველოსიპედია!..

ჩვენი საუკუნე სისწრაფის უჩვეულო ზოდის ასწლეული გახლავთ. აი, ასეთ ეპოქაში მოულოდნელად ველოსიპედის ბუმი მოხდა. ადამიანებს მობეზრდათ ავტომანქანების ხმაური და მათ გამონაბოლქვი, საწვავის რიგში დგომა და კატასტროფა. ერთი სიტყვით, ადამიანებმა კვლავ გაიხსენეს დაახლოებით ორი საუკუნის წინათ გამოგონილი ტრანსპორტი.

საარქივო მასალების მიხედვით ველოსიპედის გამომგონებელი ყოფილა ვინმე ეფიმ არტამანოვი. შემონახულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 1800 წელს ილინში არტამანოვის ვაჟიშვილი ეფიმკო უცემია იმიტომ, რომ ეკატერინეტბურგში (ახლანდელი სვერდლოვსკი) მას „უცაფარ თვითმგორავით“ დაუწყია სეირნობა. ამ საოცრების უზარმაზარ რკინის ბორბლებს ქვაფენილზე ისეთი რახარუხი აუტეხია, რომ ადამიანები და ცხენები ერთთავად დაუფრთხია.

მაგრამ, ჩანს, არტამანოვი ჯიუტი კაცი ყოფილა, გაოზგვა არად ჩაუდია.

ნიენი ტაგილიდან პეტერბურგამდე 3 ათას კილომეტრზე მეტი გზაა. და, თუ ვინმე-მძღვანელებთ იმ ცნობით, რომ არტამანოვმა ამ გზის გავლას 23,5 დღე მოანდომა, დავადგენთ, რომ ეფიმკო დღეში დაახლოებით 127 კილომეტრს გადიოდა. არტამანოვი რიგიანი „ველომობილი“ ყოფილა და ასე ალბათ იმიტომ იჩქაროდა, რომ მოსკოვში ჩაესწრო ალექსანდრე პირველის მეფედ კურთხევისათვის. მაგრამ სასჯელი არ მოსკოვში ასცდა არტამანოვს, მას 25 მანეთი ჯარიმა გადახდევინეს თავხედობისათვ ის. როგორც ჩანს, ველოსიპედს, როგორც სამგზავრო ტრანსპორტს, იმთავითვე ალმაცერად შეხვედეს და იგი გერის როლში აღმოჩნდა.

რატომ ეფიქრობთ ასე? იმიტომ, რომ დღეს მსოფლიოში უამრავი ადამიანი სარგებლობს ველოსიპედით (წარმოიდგინეთ, რომ მარტო ეფიმ არტამანოვის სამშობლოში მოზრდილი ადამიანებისათვის 5, ბავშვებისათვის კი 4 მილიონი ველოსიპედი მზადდება ყოველწლიურად და იგი მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნება, მისი მოძრაობის წესები კი კვლავ დაუდგენელი რჩება. მაგრამ მოძრაობის წესებს ვინ ჩვენს, ჯერაც გაურკვეველი ველოსიპედისტის იუროიდიული გაგება. თუ ადამიანი ველოსიპედზე ზის, იგი ველოსიპედისტია, თუ ხელით მიაგორებს — ქვეითად მოსიარულე. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, ქალაქის ახალმშენებარე უბნებში ველოსიპედის სავალი გზების დაგებაც დაიწყეს.

ამჯერად ავტორინსპექციამ მხოლოდ ერთი გამოსავალი იპოვა. იგი ავტომაწქანების მძღოლებს ასეთ პროპაგანდას უწევს: „ფრთხილად, გზაზე ველოსიპედისტია!“

დიახ, თითქოს ველოსიპედი უბრალო, ყველაზე მარტივი ტრანსპორტია, მაგრამ დაბეთ, რამხელა პრობლემის წინაშე დააყენა შან ადამიანები!

(ანახ მასალების მიხედვით).

რედაქტორის მოადგილე
გ. ნამყენეიანი.

ტელევიზია

26 ოქტომბერი

პირველი პროგრამაზე:
09.00 — „ვრენია“ (მ.), 09.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.00 — შვეიცარიელთა რუსული ენა, 10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თბილისი“, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმში: სიახლენი, პრობლემები“, 11.45 — „ცეროდენას ეკრანი“, 12.00 — „ჯანმრთელობა“ სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — ტელეკურსანტებისთვის ქართული ენა და ლიტერატურა (სუფდიანი ლოცენი თ. ჯაფარიძეს), 13.15 — „კინოფიშა“, 13.45 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებს!“ ლაგოდეხის რაიონი, 14.35— „ვესტნიკი“, 15.05 — „კინოს მოყვარულთათვის“, 16.40 — „დღეს საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკთა დღეა“ (მ.), 17.00 — „ლუდუკო, ჩემო ტკბილო თილისმა!“, 17.40 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მ.), 18.40 — დოკუმენტური ფილმი „თბილისობა“, 19.00 — საერთაშორისო ბანორამა“ (მ.), 19.45 — „მოამბე“, 20.15 — „დიადი წიგნის ფურცლები“. ფილმი მერვე (მ.), 21.15 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში მოსკოვის „დინამო“ — თბილისის „დინამო“. მეორე ტაიმის რეპორტაჟი მოსკოვიდან, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — ქართული საესტრადო მელოდიები.

მეორე პროგრამაზე: 12.45 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „დავაკაცების გზები“, 13.50 — მოლეკულურაციანი მხატვრული ფილმი, 14.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ჭიაურელი“, 15.20 — კონცერტი, 16.00 — ქართული მხატვრული ფილმი „აურზაური სატბინეებში“, 17.10 — მულტიპლიკაციური ფილმი.

ჭადრაკის დაფებთან

თბილისში მიშდინარეა გოგლიძის მემორიალის მეათე ტურში გუფელდმა დაამარცხა უბილავა, ზაინჩიკმა — ბროხშტეინი, ჯურინჩმა — სახსი, დაზავდნენ აზმაიფარაშვილი-ბაგროვი, მიზალჩიშინ-შუსლერი, პრიბილი-დვორეცკი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ლიდერობს გუფელდი — 6 ქულა (8 შესაძლებლიდან).

ერევანში გათამაშდა პირველი ლიგის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება და მეთერთმეტე ტური. გურიელმა გადადებული პარტია მოუგო მულენკოს, ხოლო მეთერთმეტე ტურის პარტია გადადო. ლიდერთა ჯგუფში ახლა ასეთი სიტუაციაა: ლეონტიევა 8,5 ქულა აქვს (11 შესაძლებლიდან), გურიელს — 8 (10-დან),